ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. ნოემბრის 10. № 25 ტფილისი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

მშენებლობა.

142. საშენი მასალის წამოწყებათა მუშაობის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

143. აგურზე და კრამიტზე ხარისხის მიხედვით ფასების დაწესების შესახებ.

144. 1936 წელს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციისათვის ნასრესი ზეთოვანი საღებავების და აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობისათვის ხორცტყავშორისი წებოს (მშრალი და სადურგლო) ახალი საგასაცემო ფასების დაწესების შესახებ.

145. საქართველოს სსრ მთიან რაიონებში პურეული პროდუქტების ავტოსაჭაპანო გადაზიდვის სატრანსპორტო ხარჯების ასანაზღაურებლად მოვაჭრე ორგანიზაციების სასარგებლოდ მონაკლების დაწესების შესახებ.

განათლება.

146. განათლების სახალხო კომისარიატის მასობრივი კულტურის განყოფილების კულტურის სახლებისა და საკოლმეურნეო კლუბების სამმართველოდ რეორგანიზაციის შესახებ.

147. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, ხელოვნების საქმეთა სამმართველოსათვის ხელოვნების სამშენებლო ობიექტების პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განსახილველად და დასამტკიცებლად სამეცნიერო-სატექნიკო საბჭოს მოწყობის ნებადართვის შესახებ.

148. საქართველოს სრული ნაკრძალების ქსელის დამატების შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

149. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან სამშენებლო ტრესტის „საქკურორტმშენის“ მოწყობის შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფა.

150. ინვალიდთა კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროებში სადაზღვეო გადასახდელის შეტანის წესის შესახებ.

მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

142. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

საშენი მასალის წამოწყებათა მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საშინამრეწველო სარეწაო კოოპერაციის იმ წამოწყებათა სრულიად არადამაკმაყოფილებელ მუშაობას, რომელნიც საშენ მასალას აწარმოებენ.

საშენი მასალის წარმოების 1936 წლის პირველი ნახევარწლის გეგმა შესრულებულია თვალსაჩინო დანაკლით. აგურის წარმოების წლიური გეგმა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის წამოწყებათა ხაზით შესრულებულია 18,4%-ით, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების წამოწყებათა ხაზით—26,1%-ით, საშინამრეწველო-სარეწაო კოოპერაციის წამოწყებათა ხაზით—14,5%-ით ამრიგად, 1-ელ ნახევარ წელიწადში წამოწყებებს არ მოუციათ 6.891 ათასი ცალი აგური.

შესრულებული არ არის აგრეთვე პარტიისა და მთავრობის დირექტივა საშენი მასალის თვითღირებულების შემცირებისა და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. თვითღირებულების შემცირების ნაცვლად უმეტეს ნაწილ წამოწყებებში თვითღირებულება გადიდებულია.

ნოსირის ქარხანაში 1.000 ცალი აგურის თვითღირებულება შეადგენდა 120 მან., ღრმა-ღელის ქარხანაში—92 მან., ტევრის ქარხანაში—100 მან., წინააღმდეგ საგეგმო ღირებულების 60 მანეთისა.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ნაცვლად, მთელი რიგი წამოწყებები დაადგნენ თვითნებითად საგასაცემო ფასის გადიდების გზას, ანაღდებდენ-რა 50%-მდე პროდუქციას კომერციულ ფასად.

საშენი მასალის ყველა წამოწყების ძირითადი გაწყობილობის ძალოვნება გამოყენებულია არა სავსებით. ქარხნების ძალოვნების არადამაკმაყოფილებელი გამოყენება იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და საშინამრეწველო-სარეწაო კოოპერაციის გამგეობები მექანიკურად უსმენ შტამპებს ქარხნების მიერ წარდგენილ გეგმებს და არა საკმარისად იბრძვიან იმისათვის, რომ ქარხნების მთელი გაწყობილობა სავსებით შეესაბამებოდეს ღუმელთა ძალოვნებას, გაფართოებული იყოს საშრობი მეურნეობა, მექანიზირებულ იქნას თიხის დამზადება, ყალიბება და ტრანსპორტირება.

სტახანოვური მოძრაობა საშენი მასალის წამოწყებებში ჯერ კიდევ ახლა იდგამს ფეხს. წამოწყებათა დირექტორები და მმართველობათა ხელმძღვანელები არ ჩასდგომიან სათავეში სტახანოვურ მოძრაობას, არ უზრუნველუყვიათ მათ სტახანოველებისათვის ყოველდღიური დახმარება და მზრუნველობა და არ შეუქმნიათ სათანადო პირობები სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმაღელის ქარხნისათვის

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ააშენოს ორი თვის ვადაზე ღრმა-ღელის ქარხანაში 4 ახალი კელლერის საშრობი და დეკემბრის 1-მდე დაამთავროს ორი სასაზიდო ფარდული.

2. დაევალოს ქარხნის დირექციას—მიაღწიოს საშრობთა ბრუნვადობას არა ნაკლებ, ვიდრე თვეში ოთხჯერ, ხოლო 1937 წლიდან უზრუნველყოს საშრობთა ბრუნვადობა არა ნაკლებ, ვიდრე თვეში 5-ჯერ.

3. ქარხნის დირექციამ 10 დღის ვადაზე დადგას, ორი მცირეძალოვანი მოტორის ნაცვლად, ახალი ელექტრომოტორი, რომელიც მომსახურეობას გაუწევს ორივე აგრეგატს.

4. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—გადაგზავნოს 5-დღის ვადაზე ერთი კვალიფიციური ინჟინერი ქარხნისათვის ტექნიკური ხელმძღვანელობის გასაწევად.

5. შეიცვალოს აგურის გამოწვის რეჟიმი, გადიდებულ იქნეს-რა ცეცხლის ზონა 3-4 კამერამდე, და დატვირთვის და გამოტვირთვის საშუშაოები ჩატარებულ იქნას შეუწყვეტლივ მთელი თვის განმავლობაში.

6. ქარხნის დირექციამ შექმნას ალიზის მარაგი 1937 წლის 1-ლი კვარტალისათვის არა ნაკლებ, ვიდრე 4.500.000 ცალის რაოდენობით და შეუდგეს თიხის დამზადებას მომავალი წლის ყალიბობისათვის.

7. არა უგვიანეს სექტემბრის 20-სა მე-2 წნეხის მუშაობა გადაყვანილ იქნას 2-ცვლად მუშაობაზე.

8. ქარხნის დირექტორი ამხ. კანდელაკი, რომელმაც ვერ უზრუნველყო ქარხნის წესიერი ხელმხღვანელობა მოიხსნას სამუშაოდან.

ნოსირის ქარხნისათვის.

1. სექტემბრის 20-დან ორივე წნეხი გადაყვანილ იქნას ორცვლად მუშაობაზე.

2. ლიკვიდირებულ იქნას აგრეგატის მოცდენა, რამაც მიაღწია შესაძლებელი სამანქანო დროის 45%-ს.

3. აგებულ იქნას ახალი, უბრალო ტიპის ფარდული თიხის 4-5 დღის მარაგის შესანახად.

4. მიღწეულ იქნას საგეგმო დავალების აღსრულება საშრობთა ბრუნვისა არა ნაკლებ, ვიდრე 2-2½-ჯერ თვეში.

5. უზრუნველყოფილ იქნას ალიზის გარდამავალი მარაგი 1937 წლის 1-ლი კვარტალისათვის 1.500 ათასი ცალის რაოდენობით.

6. 2-დეკადის ვადაზე ვიწროლიანდაგიანი გზა მიყვანილ იქნეს კარიერის 1 და 2 შრემდე.

7. უზრუნველყოფილ იქნას თვითეული წნეხის ნაყოფიერების მიღწევინება 2.500 ათას ცალამდე საათში.

8. კრამიტის საამქროში სექტემბრის ბოლომდე ღუმელის ზედა ნაწილის ტევადობა მაღლწევინებულ იქნას სრულ საპროექტო ძალოვნებამდე.

9. ნოემბრის 15-მდე დამთავრებულ იქნას 1936 წლის გეგმით გათვალისწინებული კრამიტის საშრობ ფარდულების მშენებლობა.

10. დაევალოს ცხაკაიას პარტიულ სარაიონო კომიტეტს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—დახმარება გაუწიონ ნოსირის ქარხანას მუშა-ძალის მოგროვებაში.

11. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—სექტემბრის განმავლობაში დაამთავროს და წარუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნოსირის ქარხნის კარიერების დამუშავების პროექტი.

ტევრის აგურის ქარხნისათვის.

1. უზრუნველყოფილ იქნას მე-2 წნეხის ამუშავება სექტემბრის 20-თვის, მიენდოს-რა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—გამოყოს რეგულირების ფონდიდან 10.000 მან. დანაკლი ნაწილების შესაძენად და საჭირო სამუშაოების საწარმოებლად.

2. გაწყობილობის სავსებით გამოყენების უზრუნველსაყოფად ორივე აგრეგატის მუშაობა გადაყვანილ იქნას ორცვლად მუშაობაზე ა/წ. სექტემბრის 20-დან.

3. ერთი დეკადის ვადაზე დაკომპლექტებულ იქნას მუშათა შტატი ორივე წნეხის ორცვლად მუშაობისათვის.

4. ქარხნის მუშაობა გარდაიქმნას ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას წლიური გეგმის სავსებით შესრულება 5 მილიონი აგურის რაოდენობით და ალიზის გარდამავალი მარაგი 1937 წლის 1-ლი კვარტალისათვის 600.000 ცალის რაოდენობით.

5. ჯუღელის პარტიულმა სარაიონო კომიტეტმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა დახმარება გაუწიონ დირექციას მუშა-ძალის მოგროვებაში.

6. ქარხნის დირექტორი ამხ. ანდღულაძე და ტექნიკური ხელმძღვანელი ინჟ. ჭიჭინაძე, რომელთაც თავი ვერ გაართვეს მუშაობას, მოიხსნან.

ტფილისის აგურის ქარხნებისათვის.

1. მიღებულ იქნას ცნობად ამხ. ნიორაძის განცხადება, რომ ქალ. ტფილისის აგურის ქარხნების 1936 წლის გეგმები შესრულებულ იქნება, როგორც რიცხვობრივ, ისე თვისებრივ, დადგენილი გეგმის გადამეტებით გამომწვარი აგურისათვის 1 მილიონ ცალის რაოდენობით და ალიზის გარდამავალი მარაგისათვის 2 მილიონი ცალის რაოდენობით.

2. წინადადება მიეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს—ჩაატაროს აგურის ქარხნებში შემდეგი ღონისძიებანი: მე-2 №-ის ქარხანაში აგებულ იქნას ოქტომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრის 1-მდე 10 ათასი ჩარჩო არსებული საშრობი ფარდულებისათვის, ხოლო დეკემბრის ნახევარში დამთავრებულ იქნას 1936 წლის გეგმით გათვალისწინებული ახალი საშრობი ფარდულების მშენებლობა. მე-3 №-ის ქარხანაში დამთავრებულ იქნას არა უგვიანეს ნოემბრის 1-ისა 2 თიხასაჭელის დადგმა. მე-4 და მე-7 №-ის ქარხნებში აგებულ იქნას 2 ახალი საშრობი ფარდული; თანაც ჩატარებულ იქნას არსებული ფარდულების რემონტი.

3. ლიკვიდირებულ იქნას მე-4,5,6 და 7 აგურის ქარხნების საერთო მმართველობა და ეს ქარხნები გამოყოფილ იქნას დამოუკიდებელ სამეურნეოანგარიშიან ერთეულებად.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების აგურის ქარხნებისათვის.

1. სტალინის სახელობის ქარხანაში აგებულ იქნას საშრობი და დამთავრდეს სამანქანო განყოფილება. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—უზრუნველყოს აგურის ქარხნის ღუმელების რემონტი და საშრობის აგება სექტემბერში.

2. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ქარხნის დირექტორს—აასრულონ გეგმა არა ნაკლებ, ვიდრე 2.400.000 ცალის რაოდენობით და შექმნან ალიზის გარდამავალი მარაგი 1937 წლისთვის 700.000 ცალის რაოდენობით.

3. ზუგდიდის ქარხნის ხაზით ცნობილ იქნას, რომ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და პარტიული სარაიონო კომიტეტის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის შედეგად ქარხანა არ შესდგომია მუშაობას ივლისამდე და ჩაიშალა საწარმოო გეგმის ასრულება. სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა, კონკრეტული დახმარების ნაცვლად, არ მისცა ქარხანას სრულად გადადებული სახსარი და მოახმარა იგი სხვა საჭიროებას.

დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს დაუყოვნებლივ დაფაროს მთელი დავალიანება ქარხნისადმი.

უმოქმედობისათვის ქარხნის დირექტორი აკაკი კირკია მოიხსნას.

დაევალოს პარტიულ სარაიონო კომიტეტს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, ამხ. ამხ. გვასალიას და როგავას პირადი პასუხისმგებლობით, გააძლიერონ ქარხნის მუშაობისათვის ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა და უზრუნველყონ გეგმის უცილობელი ასრულება მიმდინარე წელს დარჩენილი თვეების განმავლობაში.

3. გურჯაანის ქარხნის ხაზით — დაევალოს დირექტორს დაფაროს მეორე ნახევარწელში 1-ლი ნახევარწლის ნაკლანაღები 880.000 ცალის რაოდენობით, შექმნას-რა ალიზის გარდამავალი მარაგი 1937 წლისთვის 500.000 ცალის რაოდენობით, და შეასრულოს 1936 წლის დამატებითი პროგრამა 150.000 ცალი აგურისა და 20.000 ცალი კრამიტის რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ლანჩხუთის ქარხნის ხაზით—დაევალოს დირექტორს—უზრუნველყოს წლის ბოლომდე საწარმოო პროგრამის შესრულება 1.270 ათასი ცალი აგურის რაოდენობით, შექმნას-რა ალიზის გარდამავალი მარაგი 900.000 ცალის რაოდენობით, და დაამზადოს დამატებით გეგმაზევით 100.000 ცალი აგური და 15.000 ცალი კრამიტი. დაამთავროს წლის ბოლომდე დიზელის და თიხასაზელის დადგმა.

5. ხაშურის ქარხნის ხაზით—აღინიშნოს, რომ 1936 წლის გეგმა შემცირებულ იქნა. გადიდებულ იქნას 1936 წლის გეგმა 3 მილიონამდე. შეიქმნას ალიზის გარდამავალი მარაგი 1937 წლისთვის 600.000 ცალის რაოდენობით.

აღინიშნოს, რომ ხაშურის სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა არ მისცა ქარხანას მისთვის 1936 წელს გადადებული ასიგნვიდან 34.000 მან. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—სექტემბრის და ოქტომბრის განმავლობაში სრულიად მისცეს ქარხანას აღნიშნული თანხა; დაევალოს ქარხანას სავსებით შეასრულოს მიმდინარე წლის დავალებანი კაპიტალური მშენებლობის სფეროში.

6. სოხუმის აგურის ქარხნის ხაზით—დაევალოს პარტიულ საოლქო კომიტეტს და აფხაზეთის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—გამოყონ აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ლიმიტებიდან საჭირო თანხა 70.000 მან. ფარგლებში წყალდიდობისაგან დანგრეული მეურნეობის აღსადგენად ყველაზე გადაუდებელ სამუშაოთა წარმოებისათვის.

სარეწაო კოოპერაციის წამოწყებათათვის.

საშენი მასალის წლიური გეგმის ასრულების უზრუნველყოფისა და აგრეთვე მეტისმეტად გადიდებული თვითღირებულების შემცირებისათვის—წინადადება მიეცეს საშინამრეწველო-სარეწაო კოოპერაციას, ამხ. ქურდაძის პასუხისმგებლობით, ჩაატაროს შემდეგი ღონისძიებანი:

1. გადასინჯოს 2 დეკადის ვადაზე აგურისა და კრამიტის გამოწვისათვის საჭირო სათბობი მასალის (შეშის) ხარჯვის ნორმები და იხმაროს ღონისძიებანი მაქსიმალური შემცირებისათვის, დააწესოს-რა ერთნაირი ტიპის წამოწყებათათვის ერთიანი ნორმები.

2. თვითღირებულების შემდგომი შემცირებისათვის ჩატარებულ იქნას მიმდინარე წელსავე ღონისძიებანი რკინის გზის ახლო მდებარე წამოწყებათა ქვანახშირის მოხმარებაზე გადაყვანისათვის და 1937 წლის გეგმაში გათვალისწინებულ იქნას სათანადო ასიგნვები.

3. გადაისინჯოს ერთი დეკადის ვადაზე და მაქსიმალურად შემცირებულ იქნას განთავისუფლებულ მომუშავეთა შტატი არტელებში და ერთი თვის ვადაზე ჩატარდეს არტელების გამსხვილება მცირეძალოვანი არტელების შეერთებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. წინადადება მიეცეს ამხ. ქურდაძეს—მოაწყოს ა/წ. ოქტომბრის 1-თვის საშენ მასალათა დამოუკიდებელი სამმართველო. საშენ მასალათა სამმართველოს უფროსად დამტკიცებულ იქნეს ამხ. გარდაბაძე.

5. ერთი თვის ვადაზე წარედგინოს საქართველოს სსრ სააალხო კომისართა საბჭოს წინადადებანი საშინამრეწველო-სარეწაო კოოპერაციის საშენ მასალათა საგეგმო თვითღირებულებასა და საგასაცემო ფასებს შორის მომხდარი გარღვევის დაფარვისა და საშენ მასალათა არტელების ფინანსიურად გაჯანსაღების შესახებ.

თეძამის ტუფისათვის.

1. კარიერის წესიერი ექსპლოატაციისათვის წამოწყების მოსამზადებლად და პროდუქციის გასაიაფებლად—წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—გაითვალისწინონ 1937 წლის კაპიტალურ დანახარჯთა გეგმაში სათანადო ღონისძიებათა განხორციელება (საკარიერო მეურნეობა, მექანიზაცია, ტრანსპორტი, საბინაო მშენებლობა), ასიგნებულ იქნას-რა საამისოდ 700.000 მან. თეძამის ტუფისათვის დამტკიცებული პროექტის თანახმად.

6. წინადადება მიეცეს თეძამის ტუფის დირექტორს ამხ. კალმახელიძეს და კასპის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორს ამხ. კერვალიძეს—უზრუნველყონ ა/წ. ოქტომბრის 1-თვის კარიერიდან გრაკალამდე მიმავალი გზის მშენებლობის დამთავრება.

3. წინადადება მიეცეს თეძამის ტუფის დირექტორს:

ა) უზრუნველყოს სად. გრაკალში ქვასახერხი სახელოსნოს საექსპლოატაციოდ ამუშავება ა/წ. ოქტომბრის 1-თვის;

ბ) ქვის დამუშავების დროს მტკიცედ დაცულ იქნას სათანადო ხელშეკრულებებით დადგენილი სტანდარტები.

4. იმ მიზნით, რათა შემცირებულ იქნას დიდი სატრანსპორტო ხარჯები, რაც დაკავშირებულია კარიერიდან თეძამის ტუფის რკინის გზით გამოზიდვასთან, მიენდოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს საკითხი კარიერიდან ქვის გამოზიდვის უფრო მიზანშეწონილ საშუალებათა შესახებ. წინადადებანი ამ საკითხის გამო წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 1-ისა.

სახურავი ფიქალისათვის.

1. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს — უზრუნველყოს 1936 წელს გეგმის სავსებით შესრულება 120 ათასი კვადრატული მეტრისა და 2.000 ტონა ფილეულის რაოდენობით.

2. იმ სამუშაოთა დამთავრების უზრუნველსაყოფად, რაც დაკავშირებულია წამოწყებათა მომზადებასთან 1937 წელს პროდუქციის გამოსაშვებად 200 ათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი კვადრატული მეტრი სახურავი ფიქალის რაოდენობით, გათვალისწინებულ იქნას 1937 წელს კახეთის სახურავი ფიქალის კაპიტალური მშენებლობისათვის 800 ათასი მანეთი; აქედან: გასახსნელი სამუშაოებისათვის—350 ათასი მან., სახეხი სახელოსნოს მშენებლობის დამთავრებისათვის—70 ათასი მან-, ელექტროსადგურების მშენებლობის დამთავრებისათვის—200 ათასი მან. და საბინაო მშენებლობისათვის—130 ათასი მან.

1. საშენი მასალის მრეწველობის ყველა წამოწყების წლიური გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად—დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს (ამხ. ხოშტარია), ტფილისის საქალაქო საბჭოს, აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გასცენ სრულად ოქტომბრის ბოლომდე 1936 წლის გეგმით კაპიტალური მშენებლობისათვის გათვალისწინებული ასიგნები.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—მისცეს რეგულირების ფონდიდან 150 ათასი მანეთი რაიონული ქვემდებარეობის შემდეგ წამოწყებებს: ზუგდიდის აგურის ქარხანას—30 ათასი მან., გურჯაანის აგურის ქარხანას—35 ათასი მანეთი, სამტრედიის აგურის ქარხანას—25 ათასი მანეთი, ლანჩხუთის აგურის ქარხანას—30 ათასი მანეთი და ხაშურის აგურის ქარხანას—30 ათასი მანეთი საშრობი ფარდულების მშენებლობისა და რემონტისათვის.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ყურულაშვილს) და საშინამრეწველო-სარეწაო კოოპერაციის გამგეობას (ამხ. ქურდაძეს)—მოაწყონ ერთი თვის ვადაზე აგურ-კრამიტის ქარხნების დირექტორების ტექნიკური სწავლება, განსაზღვრონ მათ მიერ საქტექგამოცდების ჩაბარების მტკიცე ვადები და თვალყური ადევნონ მათ სწავლებას. ის, ვინც სწავლებას თავს აარიდებს, აძლიონ პასუხისგებაში.

4. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა, ტფილისის საქალაქო საბჭომ და სარეწაო კოოპერაციამ დეკემბერ-თებერვლის თვეების პერიოდში მოაწყონ ქ. ტფილისში აგურ-კრამიტის მეურნეობის ოსტატთა სკოლა.

5. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და აგურის ქარხნების დირექტორებს—მიაღწიონ აგურის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას და არსებული დიდი პროცენტი წუნის თვალსაჩინოდ შემცირებას. აგურის მტვრევის შესამცირებლად დაწესდეს, რომ პასუხისმგებლობა ქარხნებიდან აგურის წატვირთვისათვის ეკისრებათ ამ ქარხნების დირექტორებს, ხოლო გადმოტვირთვისათვის—მომხმარებლებს.

6. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს შემოიღოს ა/წ. ოქტომბრის 1-მდე საშენი მასალის ყველა წამოწყებაში სისტემა დირექტორებისა და ინჟინერ-ტექნიკური მომუშავეებისათვის პრემიალური გასამრჯელოს მიცემისა გეგმის შესრულების და გადაჭარბებით შესრულების გამო რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების მიხედვით, სსრ კავშირის შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისა და თავდაცვის საბჭოს 1936 წ. თებერვლის 11-ის დადგენილებისა თანახმად.

7. მიენდოს საქართველოს სსრ პროკურატურას პასუხისგებაში აძლიოს სისხლის სამართლის წესით სათანადო პირნი საშენი მასალის უხეირო პროდუქციის გამოშვებისათვის და აგურის მტვრევის ნორმის გადიდებისათვის, აგრეთვე წამოწყებათა ის დირექტორებიც, რომელნიც გაანაღდებენ კომერციულ ფასად გამოშვებული პროდუქციის 10 პროცენტზე მეტს.

8. ამხანაგებმა ყურულაშვილმა, ნიორაძემ, ქურდაძემ და აგურის ქარხნების დირექტორებმა უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა და იხმარონ მკვეთრი ღონიძიებანი, რათა გადიდებულ იქნას ჰოფმანის ღუმელთა ნაყოფიერება წითელი აგურის წარმოებისა სადარგო კონფერენციების მიერ მიღებულ ნორმებამდე (1.150 ცალი, 900 ცალი ერთ კუბიკურ მეტრზე)—ისე, რომ 1937 წლიდან არ დარჩეს არც ერთი ღუმელი, რომელიც სრული ძალოვნებით არ მუშაობდეს.

9. ვინაიდან საშენი მასალის მრეწველობის მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი ერთი ძირითადი პირობათაგანია სამშენებლო პროგრამის წარმატებით შესრულებისა და მშენებლობის ღირებულების გაიაფებისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აყენებენ საშენი მასალის წამოწყებათა მუშებისა, სტახანოველებისა, ოსტატებისა, ინჟინერებისა და დირექტორების წინაშე ამოცანად—მიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას საშენი მასალის მრეწველობის მუშაობაში, შეასრულონ პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა, გააუმჯობესონ პროდუქციის თვისება, თვალსაჩინოდ შეამცირონ თვითღირებულება და უზრუნველყონ წამოწყებათა უზარალო მუშაობა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ნ. ილიუშინი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც.ა.კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1936 წ. სექტემბრის 16. № 1133-ა.
ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება.

143. დადგენილება ს.კ.ს.

აგურზე და კრამიტზე ხარისხის მიხედვით ფასების დაწესების შესახებ.

თავისი ა/წ. მაისის 3-ს № 460 დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 19, მუხ, 115) განვითარების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საშენ მასალათა ფასების შემცირების შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის ივნისის 26-ს № 817 დადგენილების (საქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოს სსრ კან. კრ. 1935 წ. № 25. მუხ. 139) მე-3 მუხლის მოქმედება დარჩეს ძალაში 1935 წლისათვის, ე. ი. დაწეს დეს აგურის და კრამიტის ხარისხის ძიხედვით გაყიდვა, აგურზე დაწესებული გასაყიდი ფასებისათვის შემდეგი წანამატის დაშვებით:

1-ლი ხარისხის 15%
მე-2 ხარისხის 10%
კრამიტზე დამტკიცდეს ფასების შემცირება:
II ხარისხისათვის 10%
III ხარისხისათვის . . . . . 15% დამტკიცებულ ფასების ნაცვლად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის თანაშ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1936 წ. ივნისის 29. № 740.
ტფილისი.

---

144. დადგენილება ს.კ.ს.

1936 წელს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციისათვის ნასრესი ზეთოვანი საღებავების და აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობისათვის ხოცტყავშორისი წებოს (მშრალი და სადურგლო) ახალი საგასაცემო ფასების დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1936 წლისათვის 1-ლი №-ის და 0 №-ის ნასრესი თეთრა-საღებავის საგასაცემო ფასები დაწესდეს შემდეგი რაოდენობით—ისე-კი, რომ დაცულ იქნას ძირითადი მასალის ხარჯვის ქვემომდევნო ნორმატივები:

საღებავის სახელწოდება	ნორმატივები ძირითადი მასალისათვის	საგასაცემო ფასი		
		სარეწაო საბჭოს სისტემისათვის, როდესაც იგი მუშაობს საგეგმო ნედლეულზე და როდესაც ადგილობრივი წარმოების მშრალი თეთრას ფასი არის 2 მან. და 30 კაპ. კილოგრამზე—ფრანკო-ქარხანა	როდესაც მუშაობაა საგეგმო ნედლეულზე და როდესაც ადგილობრივი წარმოების მშრალი თეთრას ფასი არის 3 მან. და 65 კაპ. კილოგრამზე—ფრანკო-ქარხანა	საქ. სსრ. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის, როდესაც მუშაობაა საგეგმო ნედლეულზე და მშრალი თეთრას ფასი არის 3 მან. 65 კაპ. კილოგრ.—ფრანკო-ქარხანა
ნასრესი თეთრა № 1 . .	მშრალი თეთრა 60%			
	სელის ზეთი 22%	3 მან. და 36 კაპ.	4 მან. და 58 კაპ.	4 მან. და 58 კაპ.
ნასრესი თეთრა № 0 . .	მშრალი თეთრა 60%			
	სელის ზეთი 20%	3 მან. და 48 კაპ.	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ეთხოვოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—გადასინჯოს სარეწაო საბჭოს სისტემისათვის 1936 წელს დაწესებული 00 №-ის ნასრესი თეთრას ფასი—3 მან. და 50 კაპ.—იმ მხრივ, რომ იგი გადიდებულ იქნას 4 მანეთამდე 1 კილოგრამზე; ამასთანავე, სავალდებულოა მშრალი თეთრას 82%-იანი და ხელის ზეთის 20%-იანი შედგენილობა.

3. დაწესდეს, რომ „ვსეკომრომსოვეტ"-ის მიერ 1936 წელს თეთრას წარმოებისათვის გადადებული 90 ტონა თუთიიდან სარეწაო საბჭოს სისტემამ უნდა დაამზადოს უმაღლესი ხარისხის თეთრა № 00 და № 0; ამასთანავე, ეს ორივე ნომერი უნდა იყოს არა უმეტეს 20%-სა საგეგმო ნედლეულზე გამოშვებული ნასრესი თეთრას საერთო რაოდენობიდან.

4. „ვსეკოპრომსოვეტ"-ის მიერ 1936 წლისათვის მოწოდებული თუთიას ფონდის შესაბამისად 1936 წელს მშრალი თეთრას წარმოების მოცულობა სარეწაო საბჭოს სისტემისათვის განისაზღვროს 90 ტონის რაოდენობით (ტფილისის ქარხანა „ტექნოქიმ"-ი), და ამასთანავე, დაეკისროს სარეწაო საბჭოსაც 00 №-ის ნასრესი თეთრას წარმოება 1936 წელს აიყვანოს 95 ტონამდე და 0-№-ის ნასრესი თეთრასი—20 ტონამდე, სულ 115 ტონა.

საგეგმო ნედლეულიდან მიღებული მშრალი თეთრას ბაზაზე 1-ლი №-ის თეთრას წარმოება სარეწაო საბჭოს სისტემას შეუძლია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სანქციით.

5. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის „ქიმუტილკომბინატ"-ის მზა საღებავის 1936 წლის საგასაცემო ფასი დაწესდეს 1 კილოგრამზე 4 მან. 65 კაპ. რაოდენობით, როდესაც ეს საღებავი შეიცავს 30% თეთრას და 35%—ხელის ზეთს.

6. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის „ქიმუტილკომბინატ"-ის და სარეწაო საბჭოს სისტემის ნასრესი მიწის საღებავზე 1936 წლისათვის დაწესდეს შემდეგი ერთიანი საგასაცემო ფასები:

	ძირითად მასალათა ნორმატივები	1 კილოგრამის საგასაცემო ფასი
ნასრესი	ჟანგმინა 65% ხელის ზეთი 35%	2 მან. 98 კაპ.
ნასრესი მუმია	მუმია 75% ხელის ზეთი 25%	2 მან. 45 კაპ.
ნასრესი სურინჯი	სურინჯი 86% . . . . ხელის ზეთი 24%	2 მან. 35 კაპ.

7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის „ქიმიუტილკომბინატ"-ის მიერ გამოშვებულ ტყავქვეშკანის მშრალ და სადურგლო წებოზე 1936 წლისთვის მიღებულ იქნას შემდეგი საგასაცემო ფასები:

მშრალი წებო ტენიანობით არა უმეტეს 20%-ისა	3 მან. 70 კაპ.	1 კილოგრამზე
სადურგლო წებო	2 „ 00 „	„ „

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. დაევალოს „საქმარაგგასაღებას"—ამა დადგენილების მიღების მომენტიდან ადგილობრივი მრეწველობის აღნიშნული სახის პროდუქციაზე ყველა ანგარიშგასწორება აწარმოოს ამა დადგენილების ზუსტად დაცვით და შეამოწმოს ყოველ ცალკე შემთხვევაში საწარმოთა მიერ ძირითადი მასალების მიღებული ნორმატივების ხარჯვა და კონტროლი გაუწიოს მშრალი და ნასრესი თეთრასათვის საფონდო ნედლეულის (თუთიას) წესიერად ხარჯვას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **ვ. ლუნკევიჩი.**

1936 წ. ივლისის 14. № 797.
ტფილისი.

---

145. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ მთიან რაიონებში პურეული პროდუქტების ავტო-საჭაპანო გადაზიდვის სატრანსპორტო ხარჯების ასანაზღაურებლად მოვაჭრე ორგანიზაციების სასარგებლოდ მონაკლების დაწესების შესახებ.

„საქართველოს სსრ მთიან რაიონებში პურეული პროდუქტების ავტო-საჭაპანო გადაზიდვის სატრანსპორტო ხარჯების ასანაზღაურებლად მოვაჭრე ორგანიზაციების სასარგებლოდ მონაკლების დაწესების შესახებ" გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ივლისის 20-ს დადგენილების განსავითარებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს მთიანი რაიონებისათვის 1936 წლის იანვრის 1-დან (სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მაისის 23-ის თარიღის და 978 №-ის დადგენილებით მიღებული სიის თანახმად) პურეულის პროდუქტების და მარცვლეული ფურაჟის ცალობითი ფასების მონაკლების რაოდენობა, ტრანსპორტის სახის მიხედვით, ტონა-კილომეტრზე იმ მოვაჭრე ორგანიზაციების სატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად, რომლებიც 5 კილომეტრზე მეტი მანძილით დაშორებულ არიან რკინის გზის სადგურიდან, სანაოსნო ნავთსადგურებიდან და ჩამბარებელთა საბითუმო ბაზებისა და საწყობებიდან (იხ. დანართი).

შენიშვნა. მონაკლები ურმებით გადაზიდვაზე გათვალისწინებულია თორმეტი რაიონისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გარდაუანგარიშოს მოვაჭრე ორგანიზაციებს 1936 წ. იანვრის 1-დან რაიონებში პურეული პროდუქტების და მარცვლეული ფურაჟის გადაზიდვა ამა დადგენილების 1 მუხლით გათვალისწინებული რაიონებისა და მონაკლების რაოდენობის მიხედვით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმუნებულთან (საქ. სსრ-ში) ერთად, 15 დღის ვადაზე გამოსცეს ინსტრუქცია ამ დიდგენილების შეფარდების წესის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. აგვისტოს 17. № 1006.
ტფილისი.

დანართი

მ ო ნ ა კ ლ ე ბ ი

ავტო-საჭაპნო და სასაპალნო ხარჯების დასაფარავად იმ მოვაჭრე ორგანიზაციების სასარგებლოდ, რომლებიც 5 კილომეტრზე მეტი მანძილით დაშორებულ არიან საქართველოს სსრ მთიან რაიონებში პურეული პროდუქტების და მარცვლეული ფურაჟის მისალები ადგილებიდან.

(მანეთობით და კაპეიკობით ტონა-კილომეტრზე)

საქართველოს სსრ რაიონების სახელწოდება	მონაკლები გადაზიდვისათვის			
	ავტოთი	ფურგონებით	ურმებით	საპალნეებით
I. საქართველოს რაიონები				
1. ალბულახის	1—65	3—40	—	—
2. ასპინძის	1—50	3—40	—	—
3. ახალციხის	1—50	2—60	—	—
4. ახალქალაქის	1—50	2—60	—	—
5. ადიგენის	1—65	3—40	—	—
6. ამბროლაურის	1—65	3—40	5—00	—
7. ბაშკიჩეთის	1—50	2—60	—	—
8. ბოგდანოვკის	1—50	2—60	—	—
9, ბორჯომის	1—50	2—60	—	—
10. ბაღდადის	1—50	3—40	—	—
11. ვანის	1—35	3—40	6—00	—
12. გეგეჭკორის (მარტვილის) . . .	1—50	2—60	—	—
13. დუშეთის	1—35	2—60	—	—
14. ჯუღელის	1—65	3—40	5—00	—
15. ზუგდიდის	1—50	2—60	—	—
16, ზემო-სვანეთის	1—80	3—40	—	10—00

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ რაიონების საველწოდება	მონაკლები გადაზიდვისათვის			
	ავტოთი	ფურგონებით	ურმებით	საპალნეებით.
17. ყვარლის	1—50	2—60	—	—
18. ყაზბეგის	1—65	2—60	—	—
19. ქვემო-სვანეთის	1—80	3—40	6—00	10—00
20. ლაგოდეხის	1—50	2—60	—	—
21. მახარაძის	1—65	2—60	5—00	—
22. ორჯონიკიძის	1—65	3—40	5—00	—
23. ონის	1—80	3—40	6—00	—
24. სილნალის	1—50	2—60	—	—
25. საგარეჯოს	1—50	2—60	—	—
26. თელავის	1—50	2—60	—	—
27. თიანეთის	1—80	3—40	—	—
28. ტყიბულის	1—65	3—40	6—00	—
29. ხაშურის	1—50	3—40	—	—
30. წალკის	1—65	3—40	—	—
31. ცაგერის	1—80	3—40	6—00	1000
32. ცხაკაიას	1—50	2—60	—	—
83. წალენჯიხის	1—50	2—60	5—00	—
34. ჭიათურის	1—65	3—40	6—00	—
35. ჩხარის	1—65	3—40	—	—
36. ჩოხატაურის	1—65	3—40	6—00	—
37. ჩხოროწყუს	1—65	3—40	—	—
II. აფხაზეთის ასსრ რაიონები				
38. გალის	—	—	—	—
39, გაგრის	—	—	—	—
40. გუდაუთის	1—65	3—40	—	10—00
41. ოჩემჩირის	—	—	—	—
42. სოხუმის	—	—	—	—
III. აჭარის ასსრ რაიონები				
43. ქედის	1—80	3—40	—	—
44. ხულოს	1—80	3—40	—	—
VI. სამხრეთ-ოსეთ. ავტ. ოლქ. რაიონები				
45. ჯავის	1—80	3—40	—	—
46. ზნაურის	1—65	3—40	—	—
V. საკურორტო ადგილები				
47. ბახმარო (ჩოხატ. რ.)	—	—	—	10—00
48. საირმე (ბაღდადის რ.)	—	—	—	10—00
49. ლებარდეს (გეგეჭკ. რ.)	—	—	—	10—00

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

146. დადგენილება ს. კ. ს.

განათლების სახალხო კომისარიატის მასობრივი კულტურის განყოფილების კულტურის სახლებისა და საკოლმეურნეო კლუბების სამმართველოდ რეორგანიზაციის შესახებ.

საკოლმეურნეო კლუბებისა და კულტურის სახლების მუშაობის გასაძლიერებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განსახკომის მასობრივი კულტურის განყოფილება რეორგანიზებულ იქნეს კულტურის სახლებისა და საკოლმეურნეო კლუბების სამმართველოდ, რომლის შტატი 1937 წლის 1 იანვრისათვის განისაზღვროს 11 კაცით.

ფინსახკომმა 1937 წლისათვის განსახკომის ბიუჯეტის შედგენისას გაითვალისწინოს კულტურის სახლებისა და საკოლმეურნეო კლუბების სამმართველოს ზემოხსენებული შტატი.

2. 1936 წლისათვის დამტკიცდეს დროებითი შტატი 6 კაცის შემადგენლობით. წინადადება მიეცეს გინსახკომს არსებული შტატი შეავსოს 3 მუშაკით განსახკომის სხვა სამმართველოთა და განყოფილებათაგან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ნ. ილიუშინი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. სექტემბრის 14. № 1123.
ტფილისი.

---

147. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, ხელოვნების საქმეთა სამმართველოსათვის ხელოვნების სამშენებლო ობიექტების პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განსახილველად და დასამტკიცებლად სამეცნიერო-სატექნიკო საბჭოს მოწყობის ნებადართვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთვას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მოაწყოს სამეცნიერო-სატექნიკო საბჭო ხელოვნების სამშენებლო ობიექტების პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. აღნიშნული სამეცნიერო-სატექნიკო საბჭოს შესანახი ხარჯი მიეკუთვნოს იმ სპეციალურ სახსარს, რაც მიიღება სათანადო კაპიტალურ დაბანდებათა თანხის კანონით დაწესებული საპროცენტო ანარიცხებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფანანსთა სახალხო კომისარიატს, დამტკიცოს აღნიშნული სამეცნიერო-სატექნიკო საბჭოს შტატები და მის შესანახად საჭირო ხარჯთაღრიცხვა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. აგვისტოს 29. № 1059.
ტფილისი.

---

148. დადგენილება ც. ა. კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სრული ნაკრძალების ქსელის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ნაკრძალების, მკვდარი ბუნების ნაკრძალი ძეგლებისა და დაცვითი ნაკვეთების ქსელის დამტკიცების შესახებ“ გამოცემული, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ნოემბრის 4-ის დადგენილების 1-ლ კარს — „სრული ნაკრძალები“ — (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 31 №-ი, მუხ. 200) დაემატოს მე-4 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„4. თ ე ლ ა ვ-ყ ვ ა რ ლ ი ს ს ა ხ ო ხ ბ ე ნ ა კ რ ძ ა ლ ი, ფართობით 9.000 ჰექტარამდე, სოფლებს ენისელსა-კონდოლსა-გულგულასა და ნაფარეულს შორის ოთხკუთხედში მდებარე, შემდეგი საზღვრებით: აღმოსავლეთით მდ.--იღწობის გაყოლებით იმ ადგილიდან, სადაც მას გადაჭრის შაქრიანის გზატკეცილი, მდ. ალაზნამდე, შემდეგ კისისხევის ხრამის, ეგრეთწოდებული „პართენიანთ-ხევის“ გაყოლებით საქონლის სარეკ მთავარ რესპუბლიკურ გზამდე; სამხრეთით—იმ ადგილიდან, სადაც „პართენიანთ-ხევი“ გადაჭრის საქონლის სარეკ მთავარ რესპუბლიკურ გზას, ამ გზის გაყოლებით ტოლხიანის ეკლესიის გასწვრივ სოფ. კონდოლის ბოლოს თელივის სარაიონო კომბინატის ტერიტორიის ნაპირით და შემდეგ „ბელანა-ფშას“ სათავების გადაჭრით სოფ. გულგულას ვენახების ნაპირის გაყოლებით, პირდაპირი ხაზით მდ. თურდოს კალაპოტამდე; დასავლეთით—მდ. თურდოს კალაპოტით მდ. ალაზნამდე და შემდეგ, ამ მდინარის გადაჭრისას, მდ. ლოპოტის ზევ-ზევით გაყოლებით სოფ, ნაფარეულის ვენახების სანაპიროებამდე; ჩრდილოეთით—სოფ. ნაფარეულისა და საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტის „სამტრესტის“ ვენახების სამხრეთ ნაპირიდან შაქრიანის გზატკეცილით შაქრიანის ხიდამდე, შემდეგ პირვანდელ წერტილამდე იქ, სადაც გზატკეცილს გადაჭრის მდინ. ილწობა.

ნაკრძალის მიზანია კავკასიური ხოხბის შენარჩუნება, როგორც ძვირფასი სახის ფრინველისა, და მისი გამრავლებისათვის სათანადო პირობების შექმნა, რათა შემდგომ იგი გამოყენებულ იქნას სანადირო მეურნეობაში.

ნაკრძალის დაცვა და შენახვა მიენდოს საქართველოს მონადირეთა კავშირს „მონკავშირს“ და მის ფილიალს—თელავის მონადირეთა ამხანაგობას“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. სექტემბრის 15. № 158/1131.
ტფილისი.

ჯანმრთელობის დაცვა

149. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან სამშენებლო ტრესტის „საქკურორტმშენის“ მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან მოწყობილ იქნას სამშენებლო ტრესტი „საქკურორტმშენი“—საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მთლად საავადმყოფოების მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა სახის მშენებლობის განსახორციელებლად.

მიენდოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად დებულება „საქკურორტმშენის“ შედგენილობიდან საპროექტო-სახარჯთ-აღრიცხვო სამუშაოთა გამოყოფისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან დამოუკიდებელი, სამეურნეოანგარიშიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო კონტორის მოწყობის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ნ. ილიუშინი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. სექტემბრის 20. № 1140.
ტფილისი.

---

37 = 53

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური უზრუნველყოფა

150. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ინვალიდთა კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროებში სადაზღვეო გადასახდელის შეტანის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ინვალიდთა კოოპერაციულ შენაერთებს (არტელებს) სადაზღვეო გადასახდელი ინვალიდთა კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროებში შეაქვთ იმავე წესით, რაც დადგენილია სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მოქმედ, განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთა მიერ სოციალური დაზღვევის სალაროებში სადაზღვეო გადასახდელის შეტანისათვის (სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 23-ის დადგენილება „სოციალური დაზღვევისათვის გადასახდელის შეტანის წესის შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 54 №-ი, მუხ. 349); ამასთანავე, იმ სადაზღვეო გადასახდელის გადახდევინების მხრით, რაც ვადაზე შეტანილი არ არის, ინვალიდთა კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროებს აქვთ იგივე უფლებანი, რაც სოციალური დაზღვევის სალაროებს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1936 წ. სექტემბრის 15. № 159/1130.
ტფილისი.

ფასი 40 კაპ

გამომცემელი საქ. სსრ ხ. კ. ხ-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 49. 3/მ. **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 1¹/₈ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 14/X; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/XI; ტირაჟი 1.900.
თვლ. რწმ. № 87079. საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკ. № 948.